http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” კიევი - 5:3 (1:2)

18 სექტემბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 30 000 მაყურებელი.

მსაჯი: სტრეპიხეევი (მოსკოვი).

გოლები: 0-1 კომაროვი (10), 1-1 ასლამაზოვი (15), 1-2 შილოვსკი (36), 2-2 მ. ბერძენიშვილი (77), 3-2 სომოვი (81), 2-2 ვ. ბერძენიშვილი (83), . ბ. პაიჭაძე (86), 1-2 შეგოდსკი (89).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, გაგუა, მ. მინაევი, ვ. ჯორბენაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ასლამაზოვი, სომოვი.

“დინამო” კიევი: იძკოვსკი, პრავოვეროვი, კლიმენკო, გრებერი, ლიფშიცი (ტიუტჩევი), კუზმენკო, გონჩარენკო, შეგოდსკი, შილოვსკი, კომაროვი, მახინია.

გაფრთხილებულია: შეგოდსკი (75)

თბილისის “დინამოს” გამარჯვება

10 ოქტომბერს თბილისის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი “ა” ჯგუფის საკავშირო პირველობის გათამაშებიდან. თამაშობდნენ პირველობის ლიდერი – კიევის “დინამო” და თბილისის “დინამოს” ოსტატთა გუნდი.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. ბურთი ელვასავით დაჰქრის კარიდან კართან.

თამაშის მე-8 წუთია. კიეველებმა გრძელი გადაცემით მოხდენილად გაიტაცეს ბურთი, რომელიც მიიღო კომაროვმა და 30-მეტრიანი ზუსტი დარტყმით გაგზავნა თბილისელთა ბადის მარცხენა კუთხეში. თამაში ცენტრიდან დაიწყო. თბილსიელები თავგამოდებით იბრძვიან საპასუხო ბურთისათვის, ხშირად იჭრებიან მოწინააღმდეგის კართან. მაგრამ კარგახანს შედეგს ვერ აღწევენ.

თამაშის მე-20 წუთზე კიეველები დაჯარიმდნენ. გავაშელმა ბურთი მიაწოდა ასლამაზოვს, ხოლო ამ უკანასკნელმა ლამაზი თავური დარტყმით სტუმრების ბადეში მოაქცია იგი.

თამაში უფრო გამწვავდა, ორივე გუნდის თავდამსხმელები ენერგიულ სამუშაოს უქმნიან მეკარეებს.

მე-35 წუთზე ბურთი თბილისელთა საჯარიმო მოედანზეა. იგი მიიღო კიეველმა შილოვსკიმ და ნელი, მაგრამ მოფიქრებული დარტყმით გაგზავნა ბადეში. ანგარიშია 2:1.

თბილისელები გადადიან შეტევაზე. სომოვმა გაიტაცა ბურთი, ზუსტად მიაწოდა კართან თავისუფლად მყოფ ბ. პაიჭაძეს, მაგრამ ეს ნაღდი ბურთი მან ხელში ჩაუგდო მეკარეს.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 კიეველების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი დაიწყო თბილისელთა ენერგიული შეტევით. ისინი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მუდმივი სტუმრები გახდნენ, ხოლო კიეველებმა თავდაცვის ტაქტიკას მიმართეს. ბურთი ხშირად აუტშია – სტუმრები დროს აჭიანურებენ. ანგარიშის გაქვითება თითქოს საეჭვო ხდება. მაგრამ მე-25 წუთზე ასლამაზოვის ადგილს იკავებს ვ. ბერძენიშვილი და იწყება პაიჭაძის, ვ. ბერძენიშვილისა და სომოვის შესანიშნავი კომბინაციები.

მე-30 წუთზე კიეველები ჯარიმდებიან 11-მეტრიანი თავისუფალი დარტყმით და “პენალტის” ოსტატის მ. ბერძენიშვილის დარტყმული ბურთი გამოაქვთ ბადიდან. ანგარიშია 2:2.

თამაში გამწვავდა. გუნდები თავგამოდებით იბრძვიან გადამწყვეტი ბურთისათვის.

მე-33 წუთზე პაიჭაძისაგან მიღებული ბურთი გაიტაცა სომოვმა და უკვე კართან მიტანილი კვლავ დაუბრუნა მას, პაიჭაძემ მაგრად დაარტყა კარში. იძკოვსკიმ ბურთი უკან დააბრუნა, მაგრამ მას მიუსწრო სომოვმა და ღია ბადეში გაგზავნა.

მოულოდნელი მარცხით კიეველები დაიბნენ, ხოლო თბილისელებმა კიდევ უფრო განავითარეს შეტევა და დარჩენილი 8 წუთის განმავლობაში ორჯერ გაარღვიეს პირველობის ლიდერის ბადე, თავიანთ კარში კი მიიღეს ერთი ბურთი და მატჩი მოიგეს ანგარიშით 5:3.

ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდა სომოვი.

ს.გ.
“კომუნისტი”, 11 ოქტომბერი, 1937 წ.